პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК и ТБ КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 156 (11160)

ოთხშაბათი, 9 ივლისი, 1958 წ.

ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია გაემგზავრა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობაზე

ა. წ. 8 ივლისს „ტუ-104“ თვითმფრინავით ბერლინში გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის V ყრილობაზე გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით. დელეგაციაში შედიან: ამხ. ო. ვ. კუუსინენი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ამხ. მ. ტ. ეფრემოვი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კუიბიშევის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ამხ. ვ. ვ. შჩერბიცკი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ამხ. ვ. ფ. პაური — ბელორუსიის კომპარტიის [illegible] ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. დელეგაციის შემადგენლობაში [illegible] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საბჭოთა კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამხ. მ. გ. პერვუხინი.

ვნუკოვოს აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს ამხანაგებმა ა. ი. მიკოიანმა, მ. ა. სუსლოვმა, ნ. მ. შვერნიკმა, ა. ნ. კოსიგინმა.

დელეგაცია გააცილა აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა სსრ კავშირში რ. როსმაისლმა. (ტასი).

საკვების დამზადების გადამწყვეტი დღეები

ახლა სოფლად მინდვრის სამუშაოებია გაჩაღებული. კოლმეურნეები და მექანიზატორები ეშურებიან, რათა საქმით უპასუხონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებას, სწრაფად დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, ამრავლონ საკოლმეურნეო ოვლათი, დროულად და უდანაკარგოდ აიღონ პურეულის, თივის მოსავალი, მეცხოველეობისათვის შექმნან მტკიცე საკვები ბაზა. მიიღონ მეტი ხორცი, რძე, კარაქი და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები.

მეცხოველეობის სწრაფი განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირუტყვის უზრუნველყოფას კონცენტრირებული, წვნიანი და უხეში საკვებით. ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წინაშე დასახულია ამოცანა წელს დაამზადონ ორი მილიონი ტონა სილოსი, ე. ი. შარშანდელთან შედარებით ორჯერ მეტი. ეს იმას ნიშნავს, რომ თვითეულ ძროხაზე გვექნება 12 ტონამდე სილოსი.

ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ კარგად მოაწყო საკვების დამზადება. მაგალითად, ბოგდანოვკის რაიონმა წელს უკვე დაამზადა გარეული ბალახის 1.112 ტონამდე სილოსი, შარშან ამ დროისათვის კი არც ერთი ტონა სილოსი არ ყოფილა დამზადებული. ბოგდანოვკელ მშრომელთა პირობაა წელს დაამზადონ 31 ათასი ტონა სილოსი ნაცვლად შარშან დამზადებული 16.400 ტონისა. ასევე ნაყოფიერად მუშაობენ ბოლნისის რაიონში. შარშანდელთან შედარებით წელს ორჯერ მეტი სილოსია ჩადებული. აღსანიშნავია ის, რომ ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებმა წელს ვალდებულება იკისრეს დაამზადონ 52 ათასი ტონა სილოსი, ე. ი. თვითეულ ძროხაზე — 20 ტონა. საკვების დამზადების მხრივ კარგად მუშაობენ აგრეთვე დმანისის, გურჯაანის, ლაგოდეხის და მთელი რიგი სხვა რაიონები.

მაგრამ რესპუბლიკაში ზოგიერთი რაიონი ცუდად მუშაობს მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. ავიღოთ, მაგალითად, ახალციხის რაიონი. შარშან აქ სილოსის დამზადების გეგმის შესრულება ჩაიშალა. ერთ ძროხაზე დაამზადეს მხოლოდ 3,1 ტონა. ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს შარშანდელი მწარე გაკვეთილი არ გაუთვალისწინებიათ და საჭირო დასკვნებიც არ გაუკეთებიათ. რით უნდა აიხსნას, თუ არა საკვების დამზადების აშკარა შეუფასებლობით, რომ ახალციხის რაიონში 1 ივლისისათვის გაფეული ბალახი დასილოსებული იყო მხოლოდ 230 ტონა, ხოლო თივის აღება დაწყებულიც არ ქონდათ.

საკვების დამზადების დიდი შესაძლებლობა აქვთ გარდაბნის რაიონში, აქ წელს თივის კარგი მოსავალია. სამწუხაროდ, ამ შესაძლებლობას რაიონში რატომღაც არ იყენებენ, 770 ჰექტარიდან გათიბული აქვთ მხოლოდ 25 ჰექტარი. ადგილობრივი ხელმძღვანელი ამხანაგები ამ ჩამორჩენას გვალვებით ხსნიან. მაგრამ ეს როდია მართალი. რაიონში თითქმის ყველა ფართობი სარწყავია.

მეცხოველეობისათვის საკვების წარმოების გადიდების ერთერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს საკვები კულტურების თესვა-მოყვანა ნაწვერალზე. სანაწვერალო ნათესების დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მათი შემოღება ერთსა და იმავე მიწის ფართობზე წლის განმავლობაში ორი მოსავლის მოყვანის საშუალებას იძლევა და უზრუნველყოფს მეურნეობას მწვანე საკვებით ზაფხულისა და შემოდგომის თვეებში. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ რაიონში ამ საქმეში აშკარა უდარდელობას იჩენენ. მაგალითად, სამხრეთ ოსეთში შარშან გეგმით ნაწვერალზე უნდა დათესილ ათასი ჰექტარი, ფაქტიურად 381 ჰექტარი დათესეს. კასპის რაიონში ნაწვერალზე სიმინდი მხოლოდ 25 ჰექტარზე დათესეს.

ყიზლარის საძოვრებზე წელს თივის იმდენი მოსავალია, რომ შეიძლება საკვების ორი წლის მარაგი დავამზადოთ. ჩვენი რესპუბლიკის ზოგი რაიონი ამ მხრივ კარგად მუშაობს. მაგრამ ეს არ ითქმის დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებზე. დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებმა თივა გათიბეს 10 ათას ჰექტარზე, შემდეგ მისი მოგროვება და დაზვინვა დაიგვიწყეს, გათიბული თივის 70 პროცენტი მინდორში უპატრონოდ ყრია და ფუჭდება. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ადგილზე არ ყოფნით მუშახელი, გარდა ამისა, 25 ავტომანქანის ნაცვლად მხოლოდ 14 გაგზავნეს თივის გადასაზიდავად. მსგავსი მდგომარეობაა ყაზბეგის რაიონშიც.

საკვირველია, რატომ ითმენენ საკვების დამზადებაში ასეთ შეუწყნარებელ მდგომარეობას? უნდა ვიცოდეთ, რომ საკვების დამზადების გეგმის შესრულებისათვის ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებთან ერთად სერიოზული პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

საჭიროა გავაძლიეროთ სოფლად თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა საკვების დამზადებისათვის, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ სწრაფად გამოვასწოროთ ჩამორჩენა, მთლიანად გამოვიყენოთ საკვების დაგროვების უდიდესი რეზერვები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას. ამ მიზნით საჭიროა მოიწყოს მოწინავეთა შეკრებები, ფართოდ გამოყენებულ იქნას თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებები — კედლის გაზეთი, საველე ფურცელი, მოწოდებანი და სხვ. აგიტატორს უნდა აინტერესებდეს ის, თუ როგორ ხდება საკვების დამზადება კოლმეურნეობებში, როგორ იცავენ სილოსის დამზადების ხარისხს და სხვ.

საკვების საჭირო მარაგის შექმნა და კარგ სასილოსე ნაგებობათა მშენებლობა ყველა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციის ყოველდღიურ ყურადღებასა და სერიოზულ დახმარებას მოითხოვს.

დარბაზობა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტ ანტონინ ნოვოტნის პატივსაცემად

7 ივლისს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საბანკეტო დარბაზში მთაწმინდის პლატოზე გამართეს დარბაზობა რესპუბლიკის დედაქალაქში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ანტონინ ნოვოტნის ყოფნის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ ა. ნოვოტნი მეუღლითურთ, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ვაცლავ კოპეცკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, შინაგან საქმეთა მინისტრი რუდოლფ ბარაკი მეუღლითურთ, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი ირჟი გენდრიხი მეუღლითურთ, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სლოვაკიის რწმუნებულთა კორპუსის თავმჯდომარე რუდოლფ სტრეხაი მეუღლითურთ, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვაცლავ დავიდი მეუღლითურთ, ჩეხოსლოვაკიის ელჩი სსრ კავშირში იარომირ ვოშაგლიკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები იან სკობოდა და ვაცლავ სლავიკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის არმიის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი ვაცლავ ცრხლიკი, რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის უფროსი ლადისლავ ნოვაკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე იაროსლავ სიკორა, ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს დირექტორი ადოლფ გრადიცკი, ჩეხოსლოვაკიელი ჟურნალისტები, რომლებიც თბილისში ჩამოვიდნენ.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ პ. ნ. პოსპელოვი, ვ. ვ. მჟავანაძე მეუღლითურთ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. პ. ტარასოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ნ. ს. პატოლიჩევი, საბჭოთა კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ი. ტ. გრიშინი, არმიის გენერალი ა. ვ. გორბატოვი, უცხო ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მეოთხე განყოფილების გამგე ა. ი. გორჩაკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი.

დარბაზობაზე იყვნენ გ. დ. ჯავახიშვილი მეუღლითურთ, მ. დ. ჩუბინიძე მეუღლითურთ, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. რთველიაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, საქართველოს სსრ მინისტრები, მთელ რიგ რესპუბლიკურ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საბჭოთა არმიის გენერლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საბჭოთა პრესის წარმომადგენელნი.

დარბაზობის დროს წარმოითქვა რევოლუციური მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, სოციალიზმის საქმისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის ამხანაგ ანტონინ ნოვოტნის, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა მარადიული განუყრელი მეგობრობის, სოციალისტური ბანაკის მძლავრი ერთიანობისა და დარაზმულობის გულთბილი, მეგობრული სადღეგრძელოები.

დარბაზობამ ძმური გულითადობის ვითარებაში ჩაიარა. დარბაზობის დროს გაიმართა საქართველოს დედაქალაქის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. (საქდესი).

ძვირფასი სტუმრების გულითადი გაცილება

თბილისიდან გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ანტონინ ნოვოტნი

საქართველოს დედაქალაქმა 8 ივლისს გულითადად გააცილა ძვირფასი სტუმრები — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ანტონინ ნოვოტნი და ჩეხოსლოვაკიელ მეგობრებს, ჩეხოსლოვაკიელ ხალხს, რომელიც წარმატებით აშენებს სოციალიზმს, საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა ურღვევ მეგობრობას.

საფრენ მინდორზე შეიკრიბნენ სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა, დაწესებულებათა და სასწავლებლობა კოლექტივების მრავალი წარმომადგენელნი.

აეროდრომზე მოვიდნენ ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, ფ. დ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური. გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. რთველიაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე.

აეროდრომზე არიან აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრები, რესპუბლიკის უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საბჭოთა არმიის გენერლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და პრესის წარმომადგენლები.

პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ, ვ. პ. მჟავანაძემ და მ. დ. ჩუბინიძემ მიიღეს საპატიო ყარაულის პატაკი. ორკესტრმა შეასრულა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

გაფრენის წინ პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ სიტყვა წარმოთქვა.

ამხანაგ ანტონინ ნოვოტნის სიტყვა

ძვირფასო მეგობრებო!
ძვირფასო ამხანაგებო!

სიტყვა არ მყოფნის, რათა გამოვთქვა ჩვენი ღრმა შთაბეჭდილებანი, რომლებიც დაგვიტოვა თქვენს საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკაში ხანმოკლე მეგობრულმა ყოფნამ. თქვენი მშვენიერი და მდიდარი ქვეყნის ხალხში ყოფნა დაუვიწყარია ჩვენთვის.

მიღება, რომელიც ჩვენ მოგვიწყეთ, კვლავ დამაჯერებლად გვიმტკიცებს, თუ რა ღრმა ძმური გრძნობით არიან საბჭოთა კავშირის ხალხები გამსჭვალული ჩეხოსლოვაკიის ხალხებისადმი.

ჩვენი ხალხების ეს ძმური ურთიერთობა გამომდინარეობს ჩვენი კომუნისტური პარტიების მტკიცე საერთო პოზიციიდან, პარტიებისა, რომელნიც თანმიმდევრულად ეყრდნობიან თავიანთ საქმიანობაში მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას.

ბევრი მშვენიერი რამ ვნახეთ თქვენს რესპუბლიკაში, რომელიც ქართველი ხალხის შრომის მეოხებით სწრაფად ვითარდება.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება

1958 წლის მოსავლის შაქრის ჭარხლის აღებისა და გადამუშავებისათვის მზადების შესახებ

იმ ღონისძიებათა შედეგად, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ მიიღეს, წელს მნიშვნელოვნად გადიდდა შაქრის ჭარხლის ნათესები. გარდა ამისა, საჭიროა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ამინდის ხელსაყრელი პირობებისა და შაქრის ჭარხლის მოვლის უკეთესი ორგანიზაციისას შაქრის ჭარხლის კარგ მოსავალს მოელიან. შაქრის ჭარხლის მთლიანი მოსავალი შეიძლება გადიდდეს შარშანდელთან შედარებით 5-6 მილიონი ტონით. ამავე დროს შაქრის ქარხნების საწარმოო სიმძლავრენი ახალი მშენებლობით შაქრის ხარშვის სეზონის დასაწყისისათვის შეიძლება გადიდდეს დაახლოებით 1 მილიონი ტონით.

ამასთან დაკავშირებით იმისათვის, რომ უდროოდ არ შევუდგეთ შაქრის ჭარხლის ამოღებას, არ დაუშვათ მისი წახდენა და შაქრის გამოსავლის შემცირება, საჭიროა ახლა რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა, სამხარეო კომიტეტებმა და საოლქო კომიტეტებმა, სამხარეო აღმასკომებმა და საოლქო აღმასკომებმა შეიმუშაონ საველე კაგატებში შაქრის ჭარხლის შენახვის ორგანიზაციის ღონისძიებანი, რათა გადამუშავების გაგრძელებულმა ვადამ არ გამოიწვიოს ჭარხლის დანაკარგი და მისი შაქრიანობის შემცირება შენახვისას.

შაქრის ჭარხლის შენახვისა და გადამუშავებისათვის დროზე მომზადების მიზნით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დაევალოთ ჭარხლის მთესველი რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, აგრეთვე სამხარეო კომიტეტებსა და საოლქო კომიტეტებს, სამხარეო აღმასკომებსა და საოლქო აღმასკომებს:

ა) უახლოეს დღეებში გაერკვიონ შაქრის ჭარხლის გადამუშავებისა და შენახვის საკითხებში, დროზე დააწესონ, თუ რა რაოდენობის შაქრის ჭარხალი უნდა შეინახონ დიდი ხნით და, ამის გათვალისწინებით, შეიმუშაონ საველე კაგატებში შაქრის ჭარხლის შენახვის ღონისძიებანი. ამასთან გაითვალისწინონ, რომ შაქრის ჭარხლის დაკაგატება წარმოებდეს უშუალოდ კოლმეურნეობებში გზატკეცილებისა და რკინიგზის სადგურების ახლოს, რათა შემდეგ შესაძლებელი იყოს შემოდგომისა და ზამთრის პერიოდის განმავლობაში შაქრის ქარხნებში ჭარხლის გადაზიდვა;

ბ) მოაწყონ მიმღებთა და მუშათა კადრების მომზადება, რომლებიც იმუშავებენ დაკაგატებაზე, რათა დროზე შეასწავლონ მათ სწორი დაკაგატების ხერხები და საველე კაგატებში ჭარხლის შენახვისადმი კონტროლი;

გ) მიიღონ ღონისძიებანი, რათა შაქრის ქარხნის მუშაკებმა დაწვრილებით შეისწავლონ შაქრის ჭარხლის ხანგრძლივი შენახვის ახალი პროგრესული შეთოდები, კერძოდ, კაგატების აქტიური ვენტილირება, შაქრის ჭარხლის გამძლე გაყინვა და სხვა ხერხები, და ფართოდ გამოიყენონ ისინი წელს შაქრის ჭარხლის შენახვის პრაქტიკაში.

2. ჭარხლის მთესველი რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამხარეო აღმასკომებმა, საოლქო აღმასკომებმა და სახალხო მეურნეობის საბჭოებმა, 2-3 კვირის ვადაში შეიმუშაონ შაქრის ჭარხლის ამოღების, შენახვის, გადაზიდვისა და გადამუშავების დეტალური გეგმა, რათა თვითეულმა კოლმეურნეობამ ზუსტად იცოდეს, თუ რა რაოდენობით, რა ვადებში, რომელ სადგურისპირა პუნქტში ან უშუალოდ შაქრის ქარხნებში უნდა მიზიდოს შაქრის ჭარხალი და გამოყონ კონკრეტული პირები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან რკინიგზის სადგურებსა და შაქრის ქარხნებში შაქრის ჭარხლის გადაზიდვისა და მიღების ორგანიზაციისათვის.

3. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სახალხო მეურნეობის საბჭოებმა განსაზღვრონ, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, შაქრის ქარხნების ამუშავების ვადები.

4. პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა დააწესონ ზუსტი კონტროლი დაკაგატების ხარისხისადმი, მოაწყონ კაგატების დაცვა და გამოყონ პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან კაგატებში შაქრის ჭარხლის შენახვისათვის.

5. დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სახალხო მეურნეობის საბჭოებს მიიღონ ახალმშენებარე შაქრის ქარხნების დაწესებულ ვადებში მშენებლობის დამთავრებისა და ამუშავების ღონისძიებანი, აგრეთვე დააწესონ უზუსტესი კონტროლი შაქრის ხარშვის სეზონისათვის ყველა შაქრის ქარხნის რემონტის დროზე და ხარისხობრივი დამთავრებისათვის.

6. დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად ორი კვირის ვადაში შეიმუშაონ წინადადებანი ჭარხლის მთესველი ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკებისათვის 1958 წლის მოსავლის შაქრის ჭარხლის ამოღების, შენახვისა და გადამუშავების ორგანიზაციაში დახმარების ღონისძიებათა შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო



ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ანტონინ ნოვოტნის გამგზავრება თბილისიდან. ხურათზე: ამხ. ა. ნოვოტნი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი ამხ. პ. ნ. პოსპელოვი თვითმფრინავ „ტუ-104“-ის ტრაპიდან ემშვიდობებიან გამცილებლებს.

ფოტო გ. ვახტანგაძისა და ვ. სტოლიაროვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ძვირფასი სტუმრების გულითადი გაცილება

(დასასრული)

თქვენ დიდ წარმატებებს აღწევთ მშენებლობაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, კულტურასა და მეცნიერებაში, თქვენი ხალხი მდიდარი და შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობს.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ყველაფერ ახალ წარმატებებს თქვენს შრომაში. ვუსურვებთ ქართველ ხალხს, მისი ცხოვრება მდიდარი და ბედნიერი ყოფილიყოს.

ამხანაგებო!

ერთხელ კიდევ გიძღვნით მადლობას ძმური მიღებისათვის და ჩეხოსლოვაკიის ხალხისა და მისი ქვეყნისადმი ძლიერი სიყვარულის გამოჩენისათვის. მადლობას ვუძღვნით საბჭოთა საქართველოს და დედაქალაქ თბილისის ყველა მშრომელს, ახალგაზრდობასა და პიონერებს, საქართველოს კომუნისტურ პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს ხალხს, დაე კიდევ უფრო აყვავდეს მისი მშვენიერი ქვეყანა!

ნახვამდის!

პრეზიდენტის დასკვნითს სიტყვებს შეხვდნენ მეუხარე, ხანგრძლივი ტაშით. გაისმის შეძახილები „ვაშა“, „ურა“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობას!“, „გაუმარჯოს სოციალისტური ქვეყნების ერთიანობას!“, „ყველავ შეხვედრამდე!“.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ.

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო ნოვოტნი!

მოძმე ჩეხოსლოვაკიიდან ჩამოსულო ჩვენო ძვირფასო სტუმრებო!

სწრაფად გაიარა თბილისში თქვენი ყოფნის დრომ, ძვირფასო ამხანაგებო. მაგრამ მარადიული და ურღვევია გრძნობა, რომელიც გვაკავშირებს ჩვენ, რომელიც აკავშირებს ჩვენი სოციალისტური ქვეყნების ხალხებს!

საქართველოში თქვენი ყოფნა გადაიქცა ჩვენი ერთიანობის დემონსტრაციად, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ზეიმად.

ეს დღეები ჩვენთვის აღსავსე იყო აღფრთოვანებული შეხვედრებითა და დაუვიწყარი შთაბეჭდილებებით!

ჩვენს ხმასა და ჩვენს გრძნობას ვუერთებთ მთელი ქართველი ხალხის ხმასა და გრძნობას, რომელიც მოგესალმათ თქვენ, ძვირფასო სტუმრებო, როგორც ჩეხოსლოვაკიის მოძმე ხალხთა წარმომადგენლებს, რომელნიც წარმატებით აშენებენ სოციალიზმს!

ღრმად გვწამს, რომ ჩეხოსლოვაკიის ხალხები თავიანთი სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით დაამთავრებენ სოციალიზმის მშენებლობას თავიანთ ქვეყანაში.

ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი ხალხები ღვიძლი ძმებივით კვლავაც ერთად, მხარ და მხარ იქნიან ერთიანი მომავლისაკენ—კომუნიზმისაკენ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მსოფლიოში არ მოიპოვება ისეთი ძალა, რომ შეეძლოს ხელი შეუშალოს ჩვენს მეგობრობას, ჩვენს მშვიდობიან შრომას!

გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიის მოძმე ხალხებს!

გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს ამხანაგ ანტონინ ნოვოტნის მეთაურობით!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშვიდობას!

კვლავ შეხვედრამდე, მეგობრებო!

გაუმარჯოს საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიის ხალხების მეგობრობას!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

დიდება ლენინიზმს!

მომავალ შეხვედრამდე, ამხანაგებო!

გზა დაგელოცოთ, ძვირფასო სტუმრებო!

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ანტონინ ნოვოტნი საქართველოში

სტუმარმოყვარე საქართველო გულითადად იღებს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტ ანტონინ ნოვოტნის. მოსახლეობა ყველგან გულთბილად ეგებება მოძმე ხალხის წარმომადგენლებს.

პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ და მისმა თანამგზავრებმა საქართველოს დედაქალაქში ორ დღეს ყოფნის დროს რამდენჯერმე გაიარეს ქალაქში. ისინი ეცნობოდნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, მის ახალშენებებს.

7 ივლისს დილით ამხანაგი ა. ნოვოტნი და მისი თანმხლები პირნი რუსთაველი ჩავიდნენ. ავტომანქანების კოლონამ გაიარა ახალგაზრდა ქალაქის ქუჩებში და მოედნებზე. ქალაქის მცხოვრებნი მეუხარედ მიესალმნენ ძვირფას სტუმრებს.

ჩეხოსლოვაკიის მოღვაწეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსთავმა ფუნდამენტური სახლებით, რომლებიც გამოირჩევა თავისებური არქიტექტურით, და მწვანე ნარგავებმა.

ჩეხოსლოვაკიელი ამხანაგები იყვნენ სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საამქროებში. მათ ნახეს მძლავრი ბლუმინგის, მილსაგლინავი დგანი „400“-ის მუშაობა. პრეზიდენტი ა. ნოვოტნი მივიდა მუშათა ჯგუფთან, მიესალმა მათ. იგი ესაუბრა მილსაგლინავი საამქროს ახალგაზრდა ზეინკლებს ბადურაშვილსა და გუნჩინს. პრეზიდენტი დაინტერესდა, თუ რა წარმატება აქვთ მათ შრომაში, სწავლაში. როცა მან შეიტყო, რომ ორივე მუშას წელს დაუმთავრებია საშუალო სკოლა და ტექნიკუმში აპირებენ შესვლას, ა. ნოვოტნიმ უთხრა:

— ეს ძალიან კარგია! ატომის საუკუნეში საჭიროა ბევრი სპეციალისტი!

საპატიო სტუმრები რუსთავიდან დიღმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში წავიდნენ. აქ მათ შეიტყეს, რომ საბჭოთა მეურნეობა ყოველწლიურად აძლევს რესპუბლიკის სამრეწველო ცენტრების მოსახლეობას ასობით ტონა საუკეთესო ჯიშის ყურძენს. მის მინდვრებში დიდი სამეცნიერო კვლევითი მუშაობა სრულდება. საბჭოთა მეურნეობაში არის საკოლექციო ნაკვეთი, რომელზეც მოჰყავთ მსოფლიოს ყველა კუთხის 100-ზე მეტი სხვადასხვა ჯიშის ყურძენი. ჩეხოსლოვაკელ მეგობრებს უჩვენეს ჯიში „ჩინებული“, რომელიც ჰექტარზე 14 ათას კილოგრამ მოსავალს იძლევა. ვაზებზე იყო ყურძნის მსხვილი მტევნები.

პრეზიდენტ ა. ნოვოტნის მოგზაურობის დროს ახლდნენ პ. ნ. პოსპელოვი, ვ. პ. მჟავანაძე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. პ. ტარასოვი, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ი. ტ. გრიშინი, არმიის გენერალი ა. ვ. გორბატოვი, უცხო ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა და სხვა საბჭოთა ოფიციალური პირები, რომელნიც ჩეხოსლოვაკიის ხალხის წარმომადგენლებს ახლავან საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს.

(საქდესი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება მოეწყოს 1958 წლის ოქტომბერში ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი და 1958 წლის ნოემბერში შავი მეტალურგიის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი.

ამ თათბირებზე, რომლებშიც თარეთო მონაწილეობას მიიღებენ ქვანახშირის შახტებისა და შავი მეტალურგიის საწარმოთა მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამეცნიერო-საკვლევ და დიზაინ-პროექტებელ ორგანიზაციათა მუშაკები. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი, გათვალისწინებულია განხილულ იქნას საკითხები ქვანახშირის მრეწველობისა და შავი მეტალურგიის შემდგომი აღმავლობის და მძიმე ინდუსტრიის ამ უმნიშვნელოვანესი დარგების მუშაობაში ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების შესახებ წარმოების რეზერვების უფრო სრულად გამოყენების, ახალი ტექნიკისა და რაციონალური ტექნოლოგიის, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის საფუძველზე.

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ა. ნოვოტნის მოგზაურობა სსრ კავშირში

კიევი, 8 ივლისი. (საკდესი). დღეს საბჭოთა უკრაინის დედაქალაქი ზეიმით შეხვდა მოძმე ჩეხოსლოვაკიის ხალხის წარმოგზავნილთ — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანსა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ა. ნოვოტნისა და მის თანმხლებ პირებს.

ჩეხოსლოვაკიელ სტუმრებთან ერთად კიევში ჩამოვიდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. ნ. პოსპელოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. პ. ტარასოვი და სხვები.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ვ. პოდგორნი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. ს. კოროტჩენკო და უკრაინის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები, სსრ კავშირისა და უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები და სხვ.

პრეზიდენტ ა. ნოვოტნის გულთბილად მიესალმა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. გ. პოდგორნი.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ა. ნოვოტნიმ.

აეროდრომზე კვლავ გრიალებს მეუხარე ოვაცია.

ჩეხოსლოვაკიელი სტუმრები მიდიან გამცილებლებთან, ემშვიდობებიან მათ. აეროდრომზე შეკრებილი მშრომელები სიხარულით მიესალმებიან ჩეხოსლოვაკიის სახელოვანი ხალხის წარმომადგენლებს.

პრეზიდენტი ანტონინ ნოვოტნი და მისი თანმხლები პირნი ადიან თვითმფრინავში. თვითმფრინავი 11 საათსა და 20 წუთზე ადის ჰაერში და კიევისაკენ იღებს გზას.

ჩეხოსლოვაკიის მოღვაწეებთან ერთად თბილისიდან წავიდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. ნ. პოსპელოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. პ. ტარასოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ი. ტ. გრიშინი, არმიის გენერალი ა. ვ. გორბატოვი, უცხო ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა და სხვა საბჭოთა ოფიციალური პირები, რომელნიც ჩეხოსლოვაკიის ხალხის წარმომადგენლებს ახლავან საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს.

(საქდესი).

გმირთა ხსოვნის უკვდავსაყოფელი

დუშეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე სოფელ ქერანის მაღლობზე შორიდან მოჩანს თეთრი ობელისკი, რომელიც აგებულია იმ ადგილას, სადაც დუშეთის მაზრის რევოლუციურმა გლეხობამ შეიარაღებული ბრძოლა გაუმართა მენშევიკური მთავრობის სამხედრო ძალებს.

ეს იყო ორმოცი წლის წინათ. საქართველოში მენშევიკური მთავრობის ბატონობის დროს დუშეთის მაზრაში გლეხთა ყველაზე დიდმა აჯანყებამ იფეთქა. ბოლშევიკური პარტიის კავკასიის სამხარეო კომიტეტი და თბილისის კომიტეტი აქ 1918 წლის დასაწყისიდანვე წარმატებით ეწეოდნენ რევოლუციურ მუშაობას კომუნისტი მუშების მეშვეობით, გზავნიდნენ თბილისიდან პარტიულ მუშაკებს და ფრონტიდან დაბრუნებულ რევოლუციის ერთგულ ჯარისკაცებს. დუშეთში შეიქმნა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ მ. პაპუნაშვილი, თ. შუშიაშვილი, გ. მწითური, თ. ჩუბინიძე, ვ. ცინცაძე და სხვები. ამ ჯგუფმა ენერგიული საქმიანობა გააჩაღა შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად.

...აჯანყებულები განსაკუთრებული მამაცობით იბრძოდნენ, დაიკავეს ქალაქი დუშეთი, დარიალის ხეობა, გახსნეს გზა კავკასიისაკენ, კავშირი დაამყარეს თერგის სახალხო რესპუბლიკასთან და რკინიგზის (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტთან. 1918 წლის 25 ივნისს დუშეთში მოწვეულ იქნა გლეხთა ყრილობა, რომელმაც მაზრაში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა.

მენშევიკების ჯარებმა გერმანელი ოკუპანტების დახმარებით ხისხლში ჩაახრჩეს აჯანყება, ააოხრეს და გააპარტახეს სოფლები. დაიწყო სასტიკი რეპრესიები. ძარცვა-გლეჯა, დახვრეტა, დაპატიმრება და სხვა არნახული ხაშინელება დაატყდა თავს აჯანყებულ გლეხებსა და მათს ოჯახებს. ამოქმედდა საველე სასამართლოები, რომლებსაც მასობრივად გამოჰქონდათ სასიკვდილო განაჩენი.

მტრის ხელით დაიღუპნენ თავდადებული ბოლშევიკები თ. ჩუბინიძე, მ. პაპუნაშვილი, მ. გეგეჭკორი, გ. მწითური, თ. შუშიაშვილი, გ. ანდრიაშვილი, ნ. ყავლაძე, გ. ლაზრიევი, გ. ყუდუხოვი და სხვ.

... ზაფხულის გრილი წიავი უბერავს ქერანის მაღლობს, აქედან ხელისგულივით მოჩანს ბაზალეთის ტბა, რაიონის განახლებული სოფლები, თავთავებდამძიმებული ყანები, მწვანედ მოხასხასე სიმინდის ნათესები. ძნელია წარმოიდგინო, რომ ორმოცი წლის წინათ აქ ტყვიამფრქვევების კაკანი და ზარბაზნების ქუხილი იდგა. მაგრამ აჯანყების მონაწილეთა ხსოვნაში ახლაც ცოცხალია ცხრაასთვრამეტი წლის ცეცხლოვანი დღეები, აჯანყებულთა გმირობა და სიმამაცე, სისხლიანი ბრძოლები.

...კვირას, 6 ივლისს, ქერანაზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. აქ არიან რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები, აჯანყების მონაწილეები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ხტუმრები მეზობელი რაიონებიდან, დედაქალაქიდან.

პარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი ვ. ბურდული ობელისკის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგს გახსნილად აცხადებს; სიტყვებს წარმოთქვამენ პარტიის რაიკომის მდივანი ალ. ჩობელი და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ა. ართილაყვა, კომკავშირის დუშეთის რაიკომის მდივანი ო. შერმადინი.

მგზნებარე სიტყვას ამბობს დუშეთის გლეხთა აჯანყების აქტიური მონაწილე ი. იორდანაშვილი. იგი მადლობის გრძნობით მიმართავს პარტიასა და მთავრობას ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსულის უკვდავყოფისათვის.

... ეშვება სამბურველი. მარმარილოს დაფაზე ქართულ და რუსულ ენებზე ოქროს ასოებით წარწერილია: „ამ ადგილებში 1918 წლის 2-5 ივლისს დუშეთის მაზრის რევოლუციურმა გლეხობამ აქ შექმნილი საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად შეიარაღებული ბრძოლა გაუმართა მენშევიკური მთავრობის სამხედრო ძალებს“.

* * *

წინადღეს კულტურის სახლში გაიმართა დუშეთის მაზრის გლეხთა რევოლუციური აჯანყების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება. კრების მონაწილეებმა გვირგვინებით შეამკეს მენშევიკების მიერ დახვრეტილი აჯანყებულების სამარე.

ა. თომაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

* * *

სურათზე: მიტინგის მონაწილენი გვირგვინებით ამკობენ 1918 წელს მენშევიკების მიერ ვერაგულად დახვრეტილი დუშელი ბოლშევიკი-რევოლუციონერების სამარე.

ფოტო გ. ნადარეიშვილისა.

პირველი სასოფლო-სამეურნეო სკოლა საქართველოში

XIX საუკუნის ოთხმოციან წლებში საზოგადო მოღვაწემ და პუბლიცისტმა ილია წინამძღვრიშვილმა, მიუხედავად მოსალოდნელი სიძნელეებისა, გადაწყვიტა თავის მამულში — დუშეთის მაზრის (ამჟამად მცხეთის რაიონი) სოფელ წინამძღვრიანთკარში სკოლასთან ერთად საკუთარი სახსრებითა და საზოგადოების დახმარებით დაეარსებინა პრაქტიკული სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი.

ეს უანგარო და მტკიცე გადაწყვეტილება წინამძღვრიშვილმა აცნობა ქართველ საზოგადოებას გაზეთ „დროების“ 1881 წლის № 27-ის მეშვეობით, რასაც მოჰყვა ამ სკოლის პროექტის განხილვა და დახვეწა.

ი. წინამძღვრიშვილმა მოიწვია თხუთმეტამდე გამოჩენილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე და სთხოვა ამ რჩეულთა კრებულს განეხილა და შეემუშავებინა წესდება, სასწავლო გეგმა და პროგრამები. მომავალი სასოფლო-სამეურნეო სკოლის დაარსების საკითხების განხილვას რამდენიმე დაძაბული სხდომა დასჭირდა, რის შემდეგაც დადგენილ იქნა სკოლის შესაფერისი პროფილი, სწავლების ხანგრძლივობა და სხვადასხვა საგნების პროგრამათა მოკლულობა. ამ საფუძვლიანად დამუშავებულ საკითხებს დიდ დაბრკოლებას უქმნიდა სკოლის წესდების პირველი მუხლი, რომელშიც იაკობ გოგებაშვილის ხელით ჩაწერილი იყო: „სწავლება ყველა საგნებისა პირველი წლიდან დაწყებული მეექვსე წლის დასრულებამდინ უნდა მიმდინარეობდეს ქართულ ენაზე“. მეორე მუხლში, აგრეთვე გოგებაშვილის რჩევით ნათქვამი იყო, რომ რუსული ენის სწავლება სკოლაში უნდა დაწყებულიყო მესამე წლიდან.

მოწვეულმა კრებამ ეს ორივე მოსაზრება, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტად და საჭიროდ მიიჩნია, მაგრამ ამ ჭეშმარიტებას იმ ხანებში ძლიერი მტერი ჰყავდა. ეს იყო ცარიზმი. იმდროინდელი რწმუნებული განათლების დარგში, მეფის ერთგული მოხელე იანოვსკი, როგორც გულმოდგინე შავრაზმელი და რუსიფიკატორი, აუცილებლად გაილაშქრებდა ამ წესდების პირველი მუხლის წინააღმდეგ, რის გამო კრებამ მოითხოვა ამ ორი მუხლის შეცვლა არსებული რეჟიმის შესაბამისად, რათა ამ კარგი განზრახვის განხორციელება არ ჩაშლილიყო. ამ წინადადებას არ დაეთანხმა იაკობ გოგებაშვილი და თავის თავზე აიღო წესდების პირველი მუხლის გატარება. რისთვისაც მოიშველია კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწე დ. სტაროსელსკი, ლიბერალურად განწყობილი მოხელე, ილია ჭავჭავაძის გარე ქვისლი. სასწავლო გეგმა და პროგრამები შედგა ნიკო ცხვედაძის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით.

ილია წინამძღვრიშვილმა დაუყოვნებლივ წარუდგინა დ. სტაროსელსკის სკოლის წესდება, პროგრამები და სასწავლო გეგმა. რამდენიმე კვირის შემდეგ გამოირკვა, რომ მეფის მოხელე იანოვსკის არ მიუცია თანხმობა აღნიშნული წესდების დამტკიცებაზე, ჩეხოსლოვაკიის მოღვაწეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსთავმა ფუნდამენტური სახლებით, რომლებიც გამოირჩევა თავისებური არქიტექტურით, და მწვანე ნარგავებმა.

ეს ამბავი ეცნობა ილია ჭავჭავაძეს. ილია ამ საქმეს ასეთ ფურცელზე ეწერა: „ეს ამბავი ეცნობოს ბ-ნ ალექსანდრეს, ეს ამბავი ეცნობოს ბ-ნ ალექსანდრეს“. ალექსანდრე ეს ამბავი ეცნობა ალექსანდრეს,

2.000.000 ტონა სილოსისათვის 1958 წელს



ხურათებზე: გარეუბნის რაიონის კრწანისის სახელოთა მეურნეობა „გიგანტში“ სილოსსაბრალი კომბაინით სიმინდის მწვანე მასის ალება (მარცხნივ) და საკვების მიწისზედა დასილოსება. ფოტო გ. გოგოხიასი.

★ ★ ★

საბჭოთა მეურნეობა „გიგანტში“

მეცხოველეობის ფერმების ახლოს ფართო მოედანი გაუკეთებიათ. ზოგი ტრაქტორების გამართულ მუშაობას ხელმძღვანელობს, ზოგი ავტომანქანების კოლონებს თადარიგს აძლევს, ზოგიც სილოსსაბრალი კომბაინს თავს დასტრიალებს, სპეციალისტები ახსნა-განმარტებას აძლევენ აქ გამოცდილების გასაზიარებლად მოსულ ექსკურსანტებს.

ასეა ამ დღეებში კრწანისის საბჭოთა მეურნეობა „გიგანტში“, სადაც შესანიშნავად განახორციელეს საკვების მიწისზედა დასილოსება. პირველი ცდა იყო მარშანს, როცა 50 ტონა სილოსი ამ მეთოდით დაამზადეს. იგი საუკეთესო გამოდგა.

მიწისზედა დასილოსება წელს უფრო ფართო მასშტაბით განახორციელეს. კრწანისელები დარწმუნდნენ, რომ დასილოსების ეს მეთოდი სამეურნეო თვალსაზრისით ყველაზე სასარგებლოა. ასე დასილოსება მარტივია და იაფი ჯდება. იგი არ თხოულობს სპეციალურ სასილოსე ნაგებობებს და ნაკლებ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მიწისზედა დასილოსების მექანიზაციამ კი დიდად შეამცირა მუშახელის რაოდენობა, ამავდროულად შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი.

იმ დღეს ამ სამუშაოს თავს დასტრიალებდნენ მეურნეობის დირექტორი ბ. მიგრიაული, მთავარი აგრონომი მ. ცინცაძე, უბნის უფროსი ლ. თურმანიძე, მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მთავარი ინჟინერი ვ. კაპანაძე, ინჟინერი ვ. ალექსანდრია, ტრესტის მთავარი აგრონომი კ. კალანდაძე. წელს აქ მიწისზედა დასილოსების წესით დაამზადეს ასობით ტონა საკვები.

მნიშვნელოვანი ის არის, რომ მწვანე მასად იყენებენ სიმინდს. სილოსსაბრალი კომბაინი „სკ-2,6“ ერთ გაივლაზე მწვანე მასას იღებს 2 მეტრს და 60 სანტიმეტრ სიგანეზე, კიდეც კუწავს, და კომბაინის გაუჩერებლად ხუთ წუთში მწვანე მასით იტვირთება ავტომანქანა. ცხრა ავტომანქანა მუშაობს მასის გამოზიდვაზე, ერთი წუთითაც არ არის შეფერხება. მანქანიდან მასის სწრაფად გადმოსატვირთავად ინჟინრებმა ვ. კაპანაძემ და ვ. ალექსანდრიამ მანქანების ძარაზე მოაწყეს სპეციალური მავთულ-ბადგირები (შეიძლება თოკებისგანაც გაკეთდეს). იგი დაფენილია მანქანის ძარაზე. როცა ტვირთის გადმოცლაა საჭირო, მექანიკურად გამოსწევენ მავთულ-ბადგირის თავს ტრაქტორის საშუალებით და ერთ წუთში მანქანა დაცლილია. ჩვეულებრივად მუშახელით დაცლის დროს თვითეულ მანქანაზე საჭიროა დაახლოებით 15 წუთი და 4-5 მუშა.

როგორც კი დაკუწული მასა დაიყრება დასილოსების ადგილზე, აქ წარმოუვს მექანიკური დატკეპნა „დტ-54“ მარკის ტრაქტორით, იგი ამ სამუშაოს სწრაფად, საიმედოდ, მაღალხარისხოვნად ასრულებს და დიდძალ მუშახელს თავისუფლებს მასის დატკეპნის სამუშაოსაგან. ბურტს ისე დაამენ, რომ იგი თანდათანობით ვიწროვდება, მიწის საფარი კი ჩერდება გვერდითს კედლებზე. ბურტის ზედა ნაწილს ოვალური, ორმხრივ დახრილი სახურავისებური ფორმა აქვს.

მასის ჩაწყობის დამთავრების შემდეგ ბურტს კარგად ბურავენ. დახურავ იწყებენ ქვეყიდან, პირველ ფენად ხმარობენ შესელეულ პოხიერ 10-15 სანტიმეტრის სისქის თიხას და მაგრად ტკეპნიან. შემდეგ მეორე ფენად აყრიან მიწას 15-20 სანტიმეტრ სისქეზე. დასილოსების ეს წესი ეკონომიურად ხელსაყრელია აგრეთვე მასის ამოღების დროს. ამ საქმეზე სამჯერ ნაკლები შრომა იხარჯება.

მიწისზედა დასილოსებაზე წარმოებს მეცნიერული დაკვირვება. ამ საქმეზე კრწანისის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილება (ი. ხუციშვილი, ა. შტეინბერგი). მეცნიერი მუშაკები აქ იღებენ მასის ნიმუშებს და იგებენ სინესტეს, საკვების ღირებულებას, განსაზღვრავენ ტემპერატურას, აერაციებენ, დასილოსების შემდეგ რა კვებითი ღირებულება ექნება სილოსს.

კრწანისელთა გამოცდილებას ამ დღეებში გეიცნენ ჩვენი რესპუბლიკის რაიონების ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები. ამოცანა ის არის, რომ საკვების მიწისზედა დასილოსების ეს კარგი გამოცდილება ფართოდ დაინერგოს კოლმეურნეობებში.

ნ. ჯანჯღავა.

გამოვიყენებთ ყველა რეზერვს

სოფელ მახარაძის კოლმეურნეობაში „გზა კომუნიზმისაკენ“ სოზოგადოებრივი მეცხოველეობა წლობით ჩამორჩებოდა და შემოსავალს კი არა, ზარალს აძლევდა კოლმეურნეობას.

პარტიისა და მთავრობის ცნობილი დადგენილების მიხედვით გარდავქმენით მუშაობა და ახლა მეცხოველეობას განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ. შედეგიც სასიხარულოა. თუ 1950 წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე საშუალოდ 400 კილოგრამი რძე მივიღეთ, შარშან ეს ციფრი 1.800 კილოგრამამდე ავიყვანეთ, მომდინარე წლის პირველი ივლისისათვის კი უკვე 1.300 კილოგრამი რძე მივიღეთ. წელს 2 ათას კილოგრამამდე ავიყვანთ საფურაჟე ძროხის საშუალო წველადობას.

ეს მიღწევები განპირობა პირუტყვის კარგმა მოვლამ. რაც მთავარია, დიდ ყურადღებას ვუთმობთ მტკიცე საკვები ბაზის განმტკიცებას.

სილოსი ჩვენს კოლმეურნეობაში არ სარგებლობდა პატივისცემით. თუ 1953 წლამდე 20-25 ტონა სილოსს ვდებდით, ახლა 400 ტონის ტევადობის კოშკები გვაქვს და ამდენსავე ვასილოსებთ. გასულ წელს თვითეულ ძროხაზე 8 ტონა სილოსი დავამზადეთ. წელს კი 10-12 ტონას დავამზადებთ. სასილოსედ დათესილი გვაქვს 35 ჰექტარი სიმინდი.

დიდი ოდენობით ვამზადებთ სხვა საკვებსაც. მალე გავთიბავთ 40 ჰექტარ ფართობს და შარშანდელთან შედარებით 200 ცენტნერით მეტ თივას დავამზადებთ. აღსანიშნავია, რომ შავი ზღვის სანაპიროზე, „ლეკიანის“ ნოყიერ ადგილებში საუკეთესო სათიბებია. წინათ მათ ვერ ვიყენებდით, წელს ასე არ მოხდება. შეეკმენით საკვებმოპოვების ბრიგადა, იგი ამ დღეებში შეუდგება თივის დამზადებას.

კოლმეურნეობის გამგეობასთან ერთად პარტიული ორგანიზაცია ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ავიმოქმედოთ ყველა რეზერვი და გვთვალისწინებული 3 ათასი ცენტნერის ნაცვლად დავამზადოთ 4 ათასი ცენტნერი თივა, 400 ტონა სილოსის ნაცვლად კი ჩავდებთ 500 ტონას და საკვებით მთლიანად უზრუნველყოფთ პირუტყვს.

გ. ბურაკოვი,

მახარაძის რაიონის სოფელ მახარაძის კოლმეურნეობის „გზა კომუნიზმისაკენ“ პარტორგანიზაციის მდივანი.

ფაქტები მეტყველებენ

⊙ სიმინდს დიდი კვებითი თვისება აქვს: მისი 100 კილოგრამი მარცვალი შეიცავს დაახლოებით 70 კილოგრამ სახამებელს, 18 კილოგრამ ცილას და დაახლოებით 6 კილოგრამ ცხიმს.

⊙ თუ ლორებს საკვებად მოვახმართ ერთ ცენტნერ სიმინდის მარცვალს, მივიღებთ 20-25 კილოგრამ ლორის ქონს და ხორცს.

⊙ გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ შარშან ნაწვერალზე სიმინდი დათესა 150 ჰექტარზე. კარგი მოვლის შედეგად 50 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 25 ცენტნერი სიმინდი მარცვლად და დანარჩენ ფართობზე საშუალოდ ჰექტარზე 240 ცენტნერი სიმინდის მწვანე მასა.

⊙ ერთი ტონა კარგი ხარისხის სიმინდი იძლევა 8-4 ცენტნერ რძეს ან 14-18 კილოგრამ კარაქს.

⊙ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა წელს პირველ ნახევარში სახელმწიფოს ჩააბარეს და მიყიდეს 5,6 ათასი ტონით მეტი რძე, 790 ტონით მეტი ხორცი და 720 ტონით მეტი მატყელი, ვიდრე 1957 წლის ამავე პერიოდში.

⊙ ბათუმის რაიონში წელს ექვს თვეში საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 1.218 კილოგრამი რძე, შარშან კი ამავე პერიოდში მიღებული იყო 1.155 კილოგრამი რძე.

სოია ძვირფასი სანაწვერალო კულტურაა

სოია ძვირფასი მცენარეა და მინდვრის კულტურებში მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. იგი დიდი რაოდენობით შეიცავს ქიმიურ ნივთიერებებს. მაგალითად, ცილას 38-42 პროცენტს, ცხიმებს — 12-27 პროცენტს. პირუტყვის კარგ საკვებს წარმოადგენს აგრეთვე მისი თივა. იგი საკვებ ნივთიერებათა შედგენილობით არ ჩამოუვარდება საუკეთესო პარკოსან ბალახებს (იონჯა, სამყურა, ბუნებრივი და ნათესი ბალახები), მას პირუტყვი მადიანად ჭამს, რაც ზრდის წველადობას და რძის ცხიმიანობას.

განსაკუთრებით კარგია სოიას მწვანე მასა. სოია შეიძლება სხვადასხვა პერიოდში დაითესოს და მთელი ზაფხულის განმავლობაში მეურნეობა უზრუნველყოფილი იქნება პირუტყვისათვის ნედლი და ნოყიერი დამატებითი საკვებით.

ჩვენი რესპუბლიკის პირობებში არსებობს სოიის ნათესის საძოვრად გამოყენების შესაძლებლობაც. საუცხოო მასას იძლევა ნაწვერალზე ნათესი სოია. ნაწვერალზე დასათესად სოიის საუკეთესო ჯიშებიც მოგვეპოვება, მათ შორის ადგილობრივი სტანდარტული „იმერული № 41“ და „რმერული სოია“ (პოპულაცია). ეს ჯიშები მალე იზრდებიან და დიდი ოდენობით გვაძლევენ მასას, ჰექტარზე არანაკლებ 100-250 ცენტნერისა.

სოია საქართველოს ყველა კუთხეში მოდის. თუ მას სიმინდთან დავასილოსებთ, მაშინ ორივეს ღირებულება იმატებს და უფრო მაღალხარისხოვან საკვებ მასალას მივიღებთ. ეს იმიტომ, რომ სოიის მწვანე მასა მდიდარია მოსანელებელი ცილებით. სამაგიეროდ სიმინდი ასეთი ცილებით ღარიბია და ნახშირწყლებით მდიდარი. ამიტომ უმჯობესია სასილოსედ სოია და სიმინდი შერევით ვთესოთ. საერთოდ უმჯობესია ნაწვერალზე დათესილი სიმინდისა და სოიის დასილოსება, ვინაიდან იგი გვიან შემოდგომით შემოდის, გაშრობას ვეღარ ასწრებს და ხშირად ნაწილი კიდევაც ფუჭდება. დასილოსების შემთხვევაში მივიღებთ მაღალ კვებითი შემადგენლობის საკვებს.

სოიის მარცვლისა და მწვანე მასის დიდი მოსავლის მოყვანა შეიძლება ნაწვერალზე თესვით. ჰავისა და ნიადაგის ხელსაყრელი პირობები ამის კარგ შესაძლებლობას ქმნის.

სოიის სავეგეტაციო პერიოდი თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებიდან პირველი ყინვების დაწყებამდე კახეთში (ალაზნის ველზე, ლაგოდეხი, ყვარელი და სხვა რაიონები) 140-150 დღეა, ქართლის რაიონების დაბლობის ზონაში — 120 დღეზე მეტი. ეს სრულიად საკმარისია ნაწვერალზე ნათესი სიმინდის და სოიის ზემოაღნიშნული ჯიშების მოსავლის მოყვანისათვის. ნაწვერალზე სიმინდის, სოიის ან მათი შერევით თესვისათვის ნაკვეთს ნარჩენებისაგან გაწმენდისთანავე ხნავენ და ფარცხავენ. თესვა სჯობს კვადრატულ-ბუდობრივად. თუ ამის შესაძლებლობა არ არის, უნდა ვთესოთ მწკრივებში.

ზაფხულის მაღალი ტემპერატურისა და ტენის პირობებში თესლი მალე ღივდება და 4-5 დღეში ამოდის. შემდეგშიც დიდი ინტენსივობით იზრდება. სანაწვერალო კულტურები გაზაფხულზე ნათესებთან შედარებით მეტ მჭიდროობას იტანს, რადგან კვებისათვის ნაკლებ არეს მოითხოვს.

ჩვეულებრივ მწკრივად თესვის დროს მწკრივებს შუა მანძილი საკმარისია 60 სანტიმეტრი. ჰექტარზე ვთესავთ 40 კილოგრამ სიმინდს და 15-20 კილოგრამ სოიას. კვადრატულ-ბუდობრივად ნათეს თვითეულ ბუდნაში შეიძლება დავტოვოთ 3-4 ძირი სიმინდი და ორი ძირი სოია.

ნაწვერალზე ნათესი კულტურების დამუშავებას მთელი სიფრთხილით უნდა მოვეპყროთ. ფართობები დათესვისთანავე უნდა დაიფარცხოს მსუბუქი „ზიგზაგით“. ეს ღონისძიება ხელს უწყობს ნიადაგის გაფხვიერებას, თესლის თანაბარ ადმოცენებას. ამის შემდეგ თოხნა, კულტივაცია და სხვა სამუშაოები ხრულდება ნათესების მდგომარეობის მიხედვით. მოსავალს მოვთიბავთ სათიბი და ხორბლის სამკალი მანქანებით ან კომბაინით.

დოკ. ა. ჯაფარიძე.

სასილოსე ნაგებობათა შეკეთება ჭიანურდება

მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებმა 30.000 ტონა სილოსი უნდა ჩადონ. ამ რაოდენობისათვის სასილოსე ნაგებობანი კოლმეურნეობებს არა აქვთ. ამიტომ ფართოდ იქნება გამოყენებული მიწისზედა დასილოსების წესი, მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ რაიონის თითქმის ყველა კოლმეურნეობაში ჭიანურდება არსებულ სასილოსე ნაგებობათა მომზადება-შეკეთება.

სოფელ წილკნის კოლმეურნეობის სასილოსე ტრანშეები დანგვიანებულია, ალაგ-ალაგ კედლები ჩამონგრეულია, კოლმეურნეობაში კი ამ საქმის მოსაგვარებლად არ ზრუნავენ. ასეევე ითქმის მუხრანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაზე. სოფელ მისაქციელის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ვ. ახალაშვილი გულდამშვიდებით აცხადებს: — ჩვენთან სასილოსე ნაგებობებს ბევრი არაფერი ჭირდება და მოვასწრებთ მათ შეკეთებასო.

ეს ნაკლოვანებანი იმიტომაც არის, რომ მცხეთის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის ინსპექციამ დროზე არ მიიღო ზომები სასილოსე ნაგებობათა წესრიგზე მოყვანისათვის. შედგენილი არ არის დასილოსების გეგმა-გრაფიკი კოლმეურნეობების მიხედვით. რაიონის არცერთ კოლმეურნეობას არ დაუწყია სილოსის ჩადება. კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები აცხადებენ, სიმინდი ჯერ პატარაა და დასილოსება როგორ დავიწყოთო. ეს მართალია, მაგრამ ცალკეულ კოლმეურნეობებში (მაგალითად ჩარდახი, მუხრანი) იყო შესაძლებლობა გარეული ბალახი დასილოსებინათ და ეს არ გააკეთეს.

ზოგან აგვიანებენ სიმინდის ნათესების დამუშავებას. განსაკუთრებით მოუვლელია ის ნაკვეთები, სიიდანაც სიმინდის აღებას სასილოსედ ფიქრობენ. ძველი ქანდას ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში სასილოსედ ასაღები სიმინდის მნიშვნელოვანი ფართობი ისევ დასათოხნია. ამ მხრივ ცუდი მდგომარეობაა აგრეთვე სოფელ ციხისძირის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში.

მცხეთის რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად უკეთ უნდა უხელმძღვანელონ კოლმეურნეობებს.

მ. ხეთაგური,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მივბაძოთ მოწინავეებს

ვარდისუბნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეძროხეობის ფერმა თელავის რაიონში ყველაზე დიდია. ვარდისუბნელები პირუტყვის პროდუქტიულობითაც წინ არიან. ექვს თვეში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 786 კილოგრამი რძე მიიღეს. ეს გასული წლის ამავე პერიოდში მოწველილს 174 კილოგრამით აჭარბებს.

ჩვენს შეკითხვაზე, ვინ არის პირველი წველადობის საქმეში, კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსმა გ. ჯაფიაშვილმა გვიპასუხა:

— ფერმაში არავინ არ არის ჩამორჩენილი, მაგრამ მჯობნის მჯობნი არ დაილევა. თუნდაც მწველავი ვ. ჯავახიშვილი. იგი 12 ძროხას პატრონობს და თვითეულზე უკვე ათას კილოგრამზე მეტი მოწველილა. ვალდებულების შესრულებას რვაასი კილოგრამიღა აკლია. გ. თუშიშვილმა ექვს თვეში მოწველილა იმდენი, რამდენსაც წინათ მთელ წელიწადში ვერ წველიდა.

ვარდისუბნელ მეცხოველეებს უკეთესი წარმატებანი ექნებოდათ, რომ შარშან ბევრი დაემზადებინათ უხეში საკვები, სილოსი, ჭარხალი, კონცენტრირებული საკვები.

— პრაქტიკამ დაგვარწმუნა, — თქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვ. ხანჯალაშვილმა, — რომ, თუ ბევრი სილოსი არ არის, წველადობა არ გადიდდება. წელს ყველა ღონისძიებას ვახორციელებთ, რომ თვითეულ ძროხაზე ათი ტონა საკვები მაინც დავასილოსოთ.

ვარდისუბნელები ვალდებულების განაღდებას შეუდგნენ. რაიონში მათ პირველებმა დაიწყეს საკვების დასილოსება.

საკვების დასილოსებაზე კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა მუშაობს. ბრიგადირი, კოლმეურნეობის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი თენგიზ ფარესიშვილი ახალგაზრდებს ბეჯითი შრომის მაგალითს უჩვენებს. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები რახიელ ყარაულაშვილი, გუგული და შურა შამურიშვილები, ეკატერინე ბახბახიშვილი ბეჯითად მუშაობენ. მათ მუყაითობას უნდა მიეწეროს, რომ კოლმეურნეობამ სულ მოკლე დროში პირველი ასი ტონა საკვები დაასილოსა.

შარშან ვარდისუბნელებმა სასილოსე მასად ვაზის თავგადანაჭერი მასა გამოიყენეს. მას პირუტყვი ყველა სახის სილოსზე უკეთესად ჭამდა.

მაგრამ განა ყველგან ასეა საქმე? ლეჩურის კოლმეურნეობამ იმის გამო, რომ შარშან საკვები საკმარისი რაოდენობით არ დაამზადა, მიმდინარე წლის ექვს თვეში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 297 კილოგრამით ნაკლები რძე მიიღო. სამწუხაროდ, ლეჩურელებმა მწყარე გაკვეთილიდან სათანადო დასკვნა არ გააკეთეს. საკვების დასილოსების ვალდებულება რომ შეასრულონ, 160 ტონის ტევადობის ახალი ორმო ან ტრანშეა უნდა გააკეთონ, მაგრამ ეს საქმე რატომღაც დღემდე არ გახსენებიათ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ირაკლი ბურდიაშვილი ამ ჩამორჩენას უორგდება. ასეთი ფაქტები სხვა კოლმეურნეობაშიც არის.

თელავის რაიონის კოლმეურნეობებმა წელს 25.400 ტონა სილოსის დამზადება იკისრეს. ეს დიდი საქმეა და მისი შესრულებისათვის პარტიის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა ქმედითი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ.

ს. ქოჩლაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მოწეულს შენახვა უნდა

წელს ხაშურის რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებში ბუნებრივ და ნათეს ბალახებს საუკეთესო პირი უჭირავს. მაგრამ სწორი არ იქნებოდა გვეფიქრა, რომ რაკი მოსავალი კარგია, უკვე უზრუნველყოფილი იყოს საკვების ეხები მარაგის შექმნა. არ ქმარა მარტო მოსავალი, საჭიროა მისი დროულად აღება და წესიერად შენახვა. სამწუხაროდ, ამ მხრივ სერიოზულ ნაკლოვანებებს ვხვდებით რაიონის კოლმეურნეობებში.

სოფელ ბიჯნისის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. გიგაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ვ. არსენაძე) წლების მანძილზე ჩამორჩება საზოგადოებრივი მეცხოველეობა, დაბალია წველადობა. ამის მიზეზად კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ცუდ კლიმატურ პირობებს და მოუსავლიანობას ასახელებენ. მაგრამ ფაქტები საწინააღმდეგოს ლაპარაკობენ. შარშან კოლმეურნეობაში უხეშად დაარღვიეს თივის დამზადების წესი და ამის შედეგად საკვების ნახევარი დალპა და გადაყარეს.

ბიჯნისის კოლმეურნეობაში პირუტყვი არც ეხლა იკვებება კარგად. პირუტყვი გადაყვანილი არ არის ბაგურ-ბანაკურ კვებაზეამიტომ არის, რომ აქ წელს გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პირიქით შეამცირეს წველადობა.

ამ კოლმეურნეობაში ძალზე გვიანდება ბუნებრივი თივის აღება და ფერმებთან მიზიდვა. 5 ივლისის ცნობით ბუნებრივი ბალახი აღებული იყო 3 ჰექტარზე.

წელს ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებში ბუნებრივი თივა 316 ჰექტარზეა ასაღები, ნათესი ბალახები — 509 ჰექტარზე. ფაქტიურად ეს სამუშაოები სანახევროდ არ არის შესრულებული. გეგმით გათვალისწინებულია აგრეთვე 9.000 ტონა სილოსის ჩადება, 5 ივლისის ცნობით არცერთი ტონა სილოსი არ არის მომზადებული.

პარტიის ხაშურის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა უფრო ოპერატიულად უნდა უხელმძღვანელონ პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას.

ვ. ბურგენიძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მტკიცე საკვები ბაზა — მეცხოველეობას

პირუტყვის სულდობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მყარი საკვები ბაზის შექმნა. პირუტყვის საკვებით უზრუნველსაყოფად დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა წვნიანი საკვების, კერძოდ, სილოსის წარმოების მკვეთრად გადიდება.

სილოსი ძვირფასი და იაფი წვნიანი საკვებია ყველა სახის პირუტყვისა და ფრინველისათვის. იგი მდიდარია ცილებით, ადვილად მოსანელებელი ნახშირწყლებით, ვიტამინებით და მინერალური ნივთიერებებით. კარგი დიეტური თვისებების გამო, პირუტყვი დასილოსებულ საკვებს ხარბად ჭამს, რითაც მნიშვნელოვნად მცირდება ძვირადღირებული კონცენტრირებული საკვების ხარჯვა.

დადასტურებულია, რომ სილოსი ისე როგორც კარგი საძოვარი, მკვეთრად ადიდებს წველადობას, პირუტყვის წონაში მატებას და უზრუნველყოფს ნამატის კარგ ზრდა-განვითარებას. კარგი სილოსი თავისი კვებითი ღირებულებით და თვისებებით მწვანე საკვების მსგავსია და მის მაგიერობას წევს ზამთარში, ამიტომ სილოსს „ზამთრის საძოვარს“ უწოდებენ. სილოსი საჭიროა არა მარტო ზამთარში, ის აუცილებელია აგრეთვე პირუტყვის ბაგურ-ბანაკური შენახვის დროს ზაფხულში გამოსაკვებად.

გამოცდილმაურნეურ რა პარტიის მიერ დასახულ ამოცანას — უახლოეს წლებში დაეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ, რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1957 წელს ერთ მილიონამდე ტონა სილოსი დაამზადეს, ანუ დაახლოებით 3-ჯერ მეტი იმასთან შედარებით, რაც დამზადებული იყო 1954 წელს.

ხარისხოვანი სილოსის წარმოების მკვეთრად გადიდების საქმეში მისაბაძ მაგალითებს იძლევიან ბოლნისის, დმანისის, საგარეჯოს, სიღნაღის, ლაგოდეხის და მთელი რიგი სხვა რაიონების კოლმეურნეობები. ისინი თავიანთ განკარგულებაში არსებულ რეზერვებს უნარიანად იყენებენ და საკვები ბაზის განმტკიცებაში თვალსაჩინო შედეგებს აღწევენ.

სილოსის წარმოების მკვეთრად გადიდების რა რეალური შესაძლებლობა აქვთ კოლმეურნეობებს, ამაში ნათლად შეიძლება დავრწმუნდეთ თუნდაც გურჯაანის რაიონის მაგალითით.

ამ რაიონის კოლმეურნეობებში 1957 წელს ჩადებული იყო 12.635 ტონა სიმინდის სილოსი ანუ საშუალოდ ერთ ძროხაზე — 7,7 ტონა, სილოსის გადიდების უზრუნველსაყოფად რაიონის კოლმეურნეობებმა გაზაფხულზე დათესეს 585 ჰექტარი სიმინდი. მათ გადასინჯეს თავიანთი ადრინდელი გეგმები და გადაწყვიტეს დამატებით 1.100 ჰექტარი სიმინდი დათესონ ნაწვერალზე.

სილოსის წარმოების გადიდების განუსაზღვრელ შესაძლებლობას სიმინდი იძლევა. ეს მტკიცე ძვირფასი და მაღალხარისხოვანი კულტურა საუკეთესოდ ხარობს რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონში. ცნობილია, რომ სიმინდის კვებითი ღირებულება ძლიერ მაღალია. რძისებრ სიმწიფეში აღებული სიმინდის 100 კილოგრამი სილოსი 21 საკვებ ერთეულს შეიცავს, ხოლო რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში მოტეხილი ტაროს 100 კილოგრამი სილოსი თავისი უკუთვნილობით დაახლოებით 40 საკვებ ერთეულს უდრის.

მართალია, უკანასკნელ წლებში ნათესების კარგი მოვლა-დამუშავების შედეგად კოლმეურნეობები სიმინდის უხვ მოსავალს იღებენ, მაგრამ ჯერ კიდევ ზშირია შემთხვევები, როცა სიმინდის, მზესუმზირის და სხვა სასილოსე კულტურების ნათესებს ცუდად ამუშავებენ და სასილოსედ მხოლოდ თავმინებებულ და მცირემოსავლიან სიმინდის ნათესებს იყენებენ. ასეთი მდგომარეობა იყო შარშან ხაშურის, კასპის, ადიგენის, სამტრედიის, ზესტაფონის, თეთრი წყაროს და ზოგიერთ სხვა რაიონში. სასილოსე ნათესები ისევე გულდაგინედ უნდა დავამუშაოთ, როგორც სამარცვლე ნათესი.



სილოსის წარმოების გადიდების მნიშვნელოვან რეზერვს გაზაფხულის სასილოსე ნათესების გარდა, სანაწვერალო ნათესი წარმოადგენს. საკვები რესურსების გადიდების ამ რეზერვს რესპუბლიკაში ყველაზე უნარიანად იყენებენ ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობები. 1957 წელს აქ ნაწვერალზე დათესილი იყო 4.240 ჰექტარი სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.300 და ვალდებულებით ნაკისრი 3.200 ჰექტარისა. სანაწვერალო სიმინდის მწვანე მასას ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებში წარმატებით იყენებენ აგრეთვე პირუტყვის საკვებად ზაფხულის მეორე ნახევრიდან გვიან შემოდგომამდე, რაც დიდად უწყობს ხელს წველადობის გადიდებას. აქ დროულად შეუდგნენ ნაწვერალზე სიმინდის თესვას. კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს ნაწვერალზე სიმინდი დათესონ 5.000 ჰექტარზე.

კარგი სასილოსე ნაგებობანი სილოსის დანაკარგების შემცირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა. საჭიროა კოლმეურნეობებში სრულ წესრიგზე მოვიყვანოთ სილოსსაცავები და უზრუნველყოთ ახალ სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის დროულად დამთავრება.

ფართოდ უნდა დავნერგოთ მიწისზედა დასილოსების მეთოდი.

ჩვენს რესპუბლიკაში საკვების ბურტებში დასილოსება პირველად შარშან განხორციელდა გორის, ხაშურის, ლაგოდეხის, ბოლნისის და სხვა რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში. დასილოსების ეს წესი ძლიერ ეფექტურია. სილოსი იყენებენ კარგი ღირებისა აღმოჩნდა, დანაკარგებმა მხოლოდ 5-10 პროცენტი შეადგინა.

სასილოსე სიმინდი მარცვლის რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში უნდა ავაღოთ, მზესუმზირა — სრული ყვავილობის პერიოდში, გარეული ბალახები — ყვავილობის დაწყებისას და სხვ.

სასილოსე მასა აუცილებლად დაკუწული უნდა ჩავდოთ. ბურტების, სასილოსე ტრანშეების, ორმოების ავსება 1-2 დღეში უნდა დამთავრდეს.

განსაკუთრებული მზრუნველობით უნდა ვეწარმოოთ სიმინდის ტაროების დასილოსება, იგი საუკეთესოა ღორისა და ფრინველის საკვებად და გასასუქებლად.

ლაგოდეხის, თელავის, წითელწყაროს, გორის, ქუთაისის და სხვა რაიონების მოწინავე კოლმეურნეობებში ტაროების დასილოსებას აწარმოებენ 10-12 ტონის ტევადობის კარგად მოპირკეთებულ სასილოსე ორმოებში ან სექციებად დაყოფილ ტრანშეებში. რაც უფრო მაგრად არის დატკეპნილი სილოსი, მით უკეთესია მისი ხარისხი.

მეტი და მაღალხარისხოვანი სილოსი დავუმზადოთ საზოგადოებრივ მეცხოველეობას. სრულყოფილად გამოვიყენოთ ხელსაყრელი მომენტი, ხელიდან არ გავუშვათ სილოსის დამზადების საუკეთესო ვადები.

ბ. ლუარსაბიშვილი,

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საკვებმოპოვების განყოფილების უფროსი.

სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პრაღა, 7 ივლისი (საკუთარი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, 4-5 ივლისს ბრატისლავაში მიმდინარეობდა სლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა მოისმინა და განიხილა გასტონ მულენის მოხსენება პარტიის მუშაობის შესახებ ბელგიის მუნიციპალური საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც ამა წლის შემოდგომაზე მოხდება.

პლენუმმა აგრეთვე მოისმინა ივან ბლუმის ცნობა 15 კომუნისტური და მუშათა პარტიის ბერლინის თათბირის შესახებ.

საბჭოთა წინადადება უდიდეს გავლენას მოახდენს საერთაშორისო ვითარებაზე

ათენი, 7 ივლისი (საკუთარი). გაზეთი „ავგი" წერს, რომ უეცარი თავდასხმის თავიდან აცილების ღონისძიებათა შესახებ წინადადებების მიღებას, რომელსაც შეიცავს ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი პრეზიდენტ ეიზენჰაუერისადმი, დიდი მნიშვნელობა ექნება და უდიდეს გავლენას მოახდენს საერთაშორისო ვითარებაზე. „გაქარწყლდება, — წერს გაზეთი, — დასავლეთის პროპაგანდის მტკიცება საბჭოთა კავშირის მხრივ საფრთხის შესახებ, საერთაშორისო ინსპექციაზე საბჭოთა კავშირის უარის შესახებ. ამერიკის ხელმძღვანელები იძულებული იქნებიან ან დათანხმდნენ ურთიერთგაგებისა და შეთანხმების მიღწევას ან აშკარად და მიუკიბავ-მოუკიბავად განაცხადონ, რომ ისინი საერთაშორისო შეთანხმების მტრები არიან, რომ ისინი მშვიდობიანი თანაარსებობის წინააღმდეგნი არიან. მაგრამ ასეთი განცხადება უფრო მეტად დააშორებდა მათ მოკავშირეებსა და თავის ხალხს, რომელსაც, როგორც სხვა ხალხებს, სურს მშვიდობა და საერთაშორისო თანამშრომლობა".

ნოროდომ სიანუკის განცხადება

პნომ-პენი, 7 ივლისი (საკუთარი). კამბოჯის პრინცმა ნოროდომ სიანუკმა 6 ივლისს კამბოჯელ ხალხს მიმართა მეზობელ ქვეყნებთან მისი ურთიერთობის გამო. მოგონა რა თავისი განზრახვა — შეხვდეს სამხრეთ ვიეტნამისა და ტაილანდის მთავრობათა მეთაურებს კამბოჯასთან ამ ქვეყნების ურთიერთობის განსახილველად, სიანუკმა განაცხადა, რომ მისი შეხვედრა ნგო დინ დიემთან შეთანხმებული და დანიშნული იყო 12 ივლისისათვის. მაგრამ, როგორც სიანუკმა აღნიშნა, იგი იძულებული გახდა ეს შეხვედრა გადაედო იმის გამო, რომ სამხრეთ ვიეტნამის მთავრობის ოფიციოზმა „ვიეტნამ პრესმა" გამოაქვეყნა სარედაქციო სტატია, რომელიც შეიცავს თავდასხმასა და შეურაცხყოფას კამბოჯის სამეფო მთავრობის მიმართ. სიანუკმა ეს სტატია დაახასიათა როგორც იმის მკაფიო მაგალითი, რომ არა სურთ ურთიერთგაგების მიღწევა, სიანუკმა განაცხადა, რომ კამბოჯის წარმომადგენელს საიგონში დაევალა პროტესტი განუცხადოს სამხრეთ ვიეტნამს.

ამავე დროს სიანუკმა თავის მიმართვაში აღნიშნა სრული ურთიერთგაგება, რომელიც მიღწეულ იქნა ტაილანდის მთავრობასთან. მან განაცხადა, რომ უახლოეს დროში შეუძლია ეწვიოს ბანგკოკს.

ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების მიერ სოციალისტური ქვეყნების საზღვრების დარღვევის გამო

ნიუ-იორკი, 7 ივლისი (საკუთარი). ეხება რა ამერიკის სამხედრო თვითმფრინავების მიერ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრების ამასწინანდელ დარღვევას, ასოშიეიტედ პრესის სააგენტო ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობაში აღნიშნავს, რომ ეს დარღვევა სოციალისტურ სახელმწიფოთა საპაერო სივრცეში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საპაერო ძალების თვითმფრინავთა შეჭრის ერთეული შემთხვევები როდია.

კორესპონდენტი აყენებს კითხვას: „რატომ მოხდა, რომ უკანასკნელ რვა წელიწადში კომუნისტებმა ამერიკის რამდენიმე თვითმფრინავი ჩაიგდეს ხელში, მაშინ როცა ტერიტორიაზე, რომელსაც ამერიკელები უწევენ კონტროლს, არც ერთი საბჭოთა თვითმფრინავი არ ჩაუგდიათ?"

კორესპონდენტი აშკარად ცდილობს გამართლება გამოუნახოს ასეთ მდგომარეობას, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ამერიკის თვითმფრინავები დაზვერვის მიზნით წინასწარი განზრახვით არღვევენ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების საზღვრებს, მაშინ როცა ამერიკის პროპაგანდას არ შეუძლია მოიყვანოს არც ერთი შემთხვევა, რომ საბჭოთა თვითმფრინავს დაერღვიოს ამერიკის შეერთებული შტატების საზღვარი.

წყალდიდობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 7 ივლისი (საკუთარი). პრესის ცნობით, ძლიერმა წვიმებმა, რომლებიც 5 ივლისს დღისით და ღამით მოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხრეთ ოლქებში, გამოიწვიეს წყლის დონის ამაღლება დრეზდენის, კოტბუსის, კარლ-მარქს-შტადტის, ჰერის, ერფურტის, ლაიპციგის და ჰალეს ოლქების მდინარეებში. მთელ რიგ რაიონებში მდინარეები ნაპირზე გადმოვიდნენ. წყლის დონე განსაკუთრებით მაღალი იყო ზუბნიცის, პირნის, დიპოლდისვალდის, ფრაიტალის რაიონებში, აგრეთვე ქალაქ დრეზდენში. ამ რაიონებში მდებარე ზოგიერთმა საწარმომ მუშაობა შეაჩერა.

ზოგიერთ უბანზე შეწყვეტილია რკინიგზისა და ავტომობილის მოძრაობა. წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ეროვნული სახალხო არმიის ქვეგანაყოფები, საწარმოთა მებრძოლი ჯგუფები, საბჭოთა არმიის ნაწილები და მოხალისენი მოსახლეობიდან.

დამსახურებული თვალსაჩინო წარმატება

ხაჭართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული სახელმწიფო ანსამბლის აქ დაწყებული გასტროლები საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ნ. რამიშვილისა და სსრ კავშირის სახალხო არტისტის ი. სუხიშვილის მბატრული ხელმძღვანელობით უდიდესი წარმატებით მიმდინარეობს. უკვე პირველი ორი კონცერტი შესაძლებლობას გვაძლევს ვთქვათ, რომ ხაჭართველოს ხალხურმა საცეკვაო ხელოვნებამ ერთბაშად დაიპყრო პრაღელების გული.

საზოგადოება, რომელმაც ამ საღამოებზე აავსო სმეტანას სახელობის საკონცერტო დარბაზი, აღტაცებული ხვდებოდა თვითეულ შესრულებულ ნომერს და მოცეკვავეებსა და მუსიკოსებს მჭუხარე ტაშით აჯილდოებდა. ზოგიერთი ცეკვა მაყურებელთა დაუინებული სურვილით ანსამბლმა ორჯერ შეასრულა.

გაზეთმა „რუდე პრავომ" მეორე გვერდზე დაბეჭდა სურათი, რომელიც უჩვენებს „ლაშქრულის" ცეკვას და მას ასეთი წარწერა გაუკეთა: „ანსამბლის პირველ კონცერტს პრაღის სმეტანას სახელობის დარბაზში დამსახურებული თვალსაჩინო წარმატება ჰქონდა".

ანსამბლის ოსტატობის მაღალ შეფასებას იძლევა გაზეთი „ლიდოვა დემოკრაციე". რეცენზიაში სათაურით: „ქართველ მოცეკვავეთა ტრიუმფი პრაღაში" გაზეთი წერს: „საქართველოს სსრ ცეკვის დამსახურებული სახელმწიფო ანსამბლის პირველი კონცერტი პრაღაში იყო საცეკვაო ხელოვნების სიმწიფის დათვალიერება. ხალხური ტრადიციებიდან, მარტივი ხალხური მოტივებიდან გაიზარდა მეტისმეტად ლამაზი, შინაარსით მდიდარი ხელოვნება, რომელიც განაზოგადებს ხალხური შემოქმედების უაღრესად მშვენიერ ელემენტებს, რომლებიც მას მთლიან ფორმასა და ღრმა აზრს ანიჭებენ. ქართველმა მსახიობებმა ახალ პროგრამაში გვიჩვენეს თავისი სამშობლოს მთელი რიგი ტრადიციული ცეკვები... განსაკუთრებით შესანიშნავი იყო მათი ტემპერამენტიანი ცეკვა ხმლებით. სმეტანას სახელობის დარბაზის სცენა ამ საღამოს გადაიქცა მომჯადოებელი მუსიკის. ნატიფი მოძრაობისა და დამაბრმავებელი ფერების ქარიშხლად.

ოსტატურად შესრულებულმა ყველა ცეკვამ მაყურებლებზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა, ტაში ხშირად აღშობდა მუსიკას, ხოლო ზოგიერთი ნომერი მსახიობებს უნდა გაემეორებინათ".

პრაღაში ანსამბლი გამართავს ოთხ კონცერტს. შემდეგ იგი საგასტროლოდ გაემგზავრება ჩეხოსლოვაკიის სხვა ქალაქებში.

ნ. ნოვიკოვი,
(საკუთარი).

პრაღა, 7 ივლისი.



დღითიდღე უფრო კეთილმოწყობილი ხდება ცაგერის რაიონის სოფელ ალპანა. უკანასკნელ ხანს აქ აშენდა ლამაზი საცხოვრებელი სახლები და საზოგადოებრივი ნაგებობანი. სურათზე: სოფელ ალპანას ხედი.

ფოტო გ. გოგობიასი.

ჟურისტები ლაგოდეხში

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). რაიონის ცენტრში სასტუმროს ტერიტორიაზე გიხსნა თელავის ტურისტული ბაზის ფილიალი, რომელიც ყოველდღიურად ათეულ სტუმარს იღებს. ფილიალი უზრუნველყოფილია სასადილოთი, დასასვენებელი ოთახებით, მომსახურე პერსონალით.

ამ დღეებში ტურისტები ჩამოვიდნენ ჩვენი ქვეყნის მრავალი კუთხიდან. ლაგოდეხს ესტუმრნენ მოსკოველი, ლენინგრადელი, უკრაინელი, ყაზახი მშრომელები, რომლებიც ათვალიერებენ კახეთის ამ ლამაზ მხარეს. ყველა მათგანის აღფრთოვანებას იწვევს სახელმწიფო ნაკრძალის ასეულ ჰექტარზე გადაჭიმული ტყეები, ჯიხვისა და ირმის ჯოგები, კავკასიონის სიმშვენიერე და მისი მარადთოვლიანი მწვერვალები.

ლაგოდეხში ჩამოსული სტუმრები ორ დღეს ჩერდებიან, შემდეგ კი მოგზაურობას განაგრძობენ.

მასწავლებელმა ბავშვი ღალუპვას გადაარჩინა

ამ დღეებში თერჯოლის რაიონის სოფელ ზედა საზანაში მცხოვრები ბონდო ჩუბინეიძის 5 წლის გოგონა მდინარეში ჩავარდნილიყო და იხრჩობოდა.

გზად მიმავალი მასწავლებელი ბუდუ პოლისტეს-ძე მაჩიტიძე, რომელმაც შენიშნა ეს, ტანსაცმლიანად გადაეშვა მდინარეში და ბავშვი დაღუპვას გადაარჩინა.

ვ. კუტალაძე,
კავშირგაბმულობის თერჯოლის რაიონკატორის უფროსი.

სპორტის ამგეები

საერთაშორისო შეხვედრები

7 ივლისს ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში საფრანგეთის „რესინგისა" და ლენინგრადის „ადმირალტეეცის" გუნდებს შორის. სტუმრებმა შეხვედრა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 4 : 1.

* * *

დიდი ინტერესი გამოიწვია საერთაშორისო ამხანაგურმა შეჯიბრებამ ფეხბურთში უკრაინის დედაქალაქ კიევში. აქ თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამოსა" და ურუგვაის „ნასიონალის" გუნდები. 90-წუთიანი ბრძოლა ხასიათდებოდა მძაფრი ბრძოლით და დამთავრდა ფრედ 0 : 0.

„რესინგის" გუნდი თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საფრანგეთის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის „რესინგის" ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც რამდენიმე დღეა სტუმრად იმყოფება საბჭოთა კავშირში.

ფრანგ ფეხბურთელებს აეროდრომზე გულთბილი შეხვედრა მოუწყეს, თაიგულები უძღვნეს. „რესინგის" გუნდი 11 ივლისს თბილისში გამართავს საერთაშორისო მატჩს ადგილობრივ „დინამოსთან".

კალათბურთელთა შეჯიბრება

გუშინ თბილისის კიროვის სახელობის პარკის სტადიონზე დაიწყო „ა" კლასის კალათბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო პირველობის გათამაშების მეორე წრის პირველი ტური.

მოსკოვის „სერპ ი მოლოტის" გუნდმა მოუგო როსტოვის „ბურევესტნიკს" 66 : 37, ლენინგრადის სკვო-მ — თბილისის „ბურევესტნიკს" 54 : 43.

შეჯიბრება 13 ივლისამდე გაგრძელდება.

დედაქალაქის ფრენბურთელთა გამარჯვება

მოსკოვში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა უძლიერესი კოლექტივების ასპარეზობა სსრ კავშირის პირველობაზე.

მატჩების უმრავლესობა ხასიათდებოდა შეუპოვარი და საინტერესო ბრძოლით. ქალთა გუნდებში უძლიერესი იყო დედაქალაქის „ლოკომოტივის" გუნდი, რომელმაც ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ვაჟთა კოლექტივებს შორის წარმატებით ჩაატარეს შეხვედრები და პირველი ადგილი დაიკავეს სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის ფრენბურთელებმა.

ორივე გუნდმა გაიმარჯვა დამატებით მატჩებში.

გასწორება

8 ივლისს „კომუნისტში" პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ ანგარიშში „ბატონგი „დინამოს" სტადიონზე" მე-3 სეტის პირველი ბაზაცი უნდა იკითხებოდეს ასე:

„აქვე არიან: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. პ. ტარასოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში ი. ტ. გრიშინი, არმიის გენერალი ა. ვ. გორბატოვი, უცხო ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების კავშირის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. ფ. ჩუბინეიძე, პ. ვ. კოვანოვი, ფ. ფ. დუმბაძე, მ. ი. კუჭავა, ა. ნ. ინაური, გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. როგველიაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე და რეპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები". შემდეგ როგორც ტექსტშია.

რედაქტორი პ. რატიანი.

ბელგიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბრიუსელი, 7 ივლისი (საკუთარი). როგორც გაზეთი „დრაპო რუჟი" იუწყება, 5-6 ივლისს ბრიუსელში მიმდინარეობდა ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა მოისმინა და განიხილა გასტონ მულენის მოხსენება პარტიის მუშაობის შესახებ ბელგიის მუნიციპალური საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით, რომელიც ამა წლის შემოდგომაზე მოხდება.

პლენუმმა აგრეთვე მოისმინა ივან ბლუმის ცნობა 15 კომუნისტური და მუშათა პარტიის ბერლინის თათბირის შესახებ.

ინდოეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის განცხადება

რომი, 6 ივლისი (საკუთარი). იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ კომუნისტები კვლავაც ყოველ ღონეს იხმარენ მშრომელთა მასების მოქმედების ერთიანობის მისაღწევად.

რეზოლუციაში გამოთქმულია მწუხარება იმის გამო, რომ სოციალისტებმა უარყვეს კომპარტიის წინადადება იმის შესახებ, რომ მოეწყოს შეხვედრა ორი პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებს შორის აზრთა გასაზიარებლად იტალიაში შექმნილი ვითარების საკითხებზე.

აცხადებს რა, რომ კლერიკალური მთავრობის შექმნა შესაძლებელი გახდა სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელების მხრივ ახალ დათმობათა შედეგად, იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა ბრძოლა დემოკრატიული ინსტიტუტების შენარჩუნებისათვის, ისეთი პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომელიც მშრომელთა მასების ინტერესებს შეესაბამება.

იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა იტალიის მოქალაქეთა ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს ბრძოლა მშვიდობისათვის.

ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა

ნიუ-დელი, 7 ივლისი (საკუთარი). ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა, რომელიც 4 ივლისს დაიწყო, 6 ივლისამდე გაგრძელდა. ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ანგარიშზე, ინდოეთის ეროვნული ეკონომიკის, ინდოეთის ეროვნული ეკონომიკის, ინდოეთის ეროვნული ეკონომიკის